



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011744346902621

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

83114

26 / თებერვალი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომბაში მიღებისა და რეგისტრირებული მონაცემების შეჩერების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი: 01/3681; თარიღი: 15.02.2021წ.

ადმინისტრაციული საჩივრის საჯარო რეესტრის კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი: 66264/17;
თარიღი: 15.02.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: ივანე პეტრიაშვილი (პირადი ნომერი 36001024973).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: რეგისტრაციის შესახებ №882020805322-04 (30.10.2020) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: რეგისტრაციის შესახებ № 882020805322-04 (30.10.2020) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი თბილისი, ნასაკირალის ქ. №14.

2020 წლის 26 ოქტომბერს ირაკლი რევაზიშვილმა (პირადი ნომერი 01024087167) ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურში წარადგინა № 882020805322 სარეგისტრაციო განცხადება უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით 01.17.01.050.006) რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის მოთხოვნით.

2020 წლის 30 ოქტომბერს ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურმა მიიღო რეგისტრაციის შესახებ №882020805322-04 გადაწყვეტილება, რის შედეგადაც ქალაქ თბილისში, ნასაკირალის ქ. №14-ში მდებარე №7 შენობა-ნაგებობიდან 214.83 კვ.მ-ზე (მათ შორის II სართული - 100.78 კვ.მ., სხვენი - 84.60 კვ.მ., საბაფხულო ფართი - 29.45 კვ.მ.), ხოლო №8 შენობა-ნაგებობიდან 28.92 კვ.მ-ზე (მათ შორის I სართული - 13.18 კვ.მ., II სართული - 15.74 კვ.მ.) დარეგისტრირდა ირაკლი რევაზიშვილის (პირადი ნომერი 01024087167) საკუთრების უფლება.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქალაქი თბილისში, ნასაკირალის ქ. № 14-ში მდებარე უძრავი ნივთის თანამესაკუთრებად რეგისტრირებულნი არიან: ალა პოპოვი (პირადი ნომერი 01011009009), ზინა ბაქანიძე (პირადი ნომერი 01005021032), ივანე პეტრიაშვილი (პირადი ნომერი 36001024973), ინგა ოგანეზოვა (პირადი ნომერი 01017012050), ირაკლი რევაზიშვილი (პირადი ნომერი 01024087167), ირინა ნიკოლაძე (პირადი ნომერი 13001012279), კარენ დავიდოვი (პირადი ნომერი 01012005722), ლიანა კაპანიანი (პირადი ნომერი

01011046397), მაგდანა ოვაკიმიანი (პასპორტის ნომერი 75 0127586), მარია ოვაკიმიანი (პასპორტის ნომერი 71 3811987), მერი ასოვა (პირადი ნომერი 01013025847), არუსტამ კაპანიანი და „თანამესაკუთრე“.

ამასთან, საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქალაქ თბილისში, ნასაკირალის ქ. №14-ში მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია სს „კრედო ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 205232238), სს „საქართველოს ბანკისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 204378869) და პავლე ტიკარაძის (პირადი ნომერი 26001024123) იპოთეკის უფლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება; ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში; ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

№ 66264/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ივანე პეტრიაშვილის 2021 წლის 15 თებერვლის №66264/17 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. შეჩერდეს 01.17.01.050.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება.
3. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ: ალა პობოვი (პირადი ნომერი 01011009009), ზინა ბაქანიძე (პირადი ნომერი 01005021032), ინგა ოგანეზოვა (პირადი ნომერი 01017012050), ირაკლი რევაზიშვილი (პირადი ნომერი 01024087167), ირინა ნიკოლაძე (პირადი ნომერი 13001012279), კარენ დავიდოვი (პირადი ნომერი 01012005722), ლიანა კაპანიანი (პირადი ნომერი 01011046397), მაგდანა ოვაკიმიანი (პასპორტის ნომერი 75 0127586), მარია ოვაკიმიანი (პასპორტის ნომერი 71 3811987), მერი ასოვა (პირადი ნომერი 01013025847), სს „კრედო ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 205232238), სს „საქართველოს ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 204378869) და პავლე ტიკარაძე (პირადი ნომერი 26001024123).

4. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ დაინტერესებულ მხარეებსა და ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს.

5. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადანყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.


6. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

8. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;

9. გადანყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე